საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლი (დადიანი)

გრიგოლი (დადიანი) (დაახლ. 1760–1822), ცაიშის ეპისკოპოსი (ცაიშელი), მოგვიანებით მიტროპოლიტი; განმანათლებელი, მისიონერი, ქველმოქმედი. ოდიშის მთავრის კაცია ოტიას ძე დადიანის ხელშეწყობით აღადგინა და მოაშენა ცაიშის მონასტერი, შეაკეთა მთავარი ტაძარი და შესძინა სამღვდელმსახურო ინვენტარი, წიგნები. ააშენა ქვის სამრეკლო, აგრეთვე სახლები მღვდლებისა და სხვა სას. პირებისათვის, მონასტერს შემოავლო გალავანი. **გ**. დიდ ყურადღებას უთმობდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შეკრებას, წიგნსაცავის შექმნას. სხვადასხვა დროს მონასტერს აუშენა 4 ტაძარი: სოფ. ლარჩავას – მთავარანგელოზის, სოფ. კოცოხს – თევდორე ტირონის, ხეთას – წმ. კვირიკესი, ხეთაში, თავისივე მამულში, ააგო სასახლე და მოაწყო კარის ეკლესია. იქვე დააარსა სასწავლებელი, ააგო საცხოვრ. და სამეურნ. დანიშნულების შენობები. თავისი სახსრებით დაიხსნა დას. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მაჰმადიანთა მიერ გატაცებული ტყვეები. დიდი სამისიონერო საქმიანობა გასწია აფხაზთა დასაბრუნებლად ქრი**ს**ტ. სარწმუნოებაზე. 1822 წ. 19 ივნ. შედგენილ მის ვრცელ ანდერძში საინტერესო ცნობებია იმდროინდელ დას. საქართველოს სოც., პოლიტ. და კულტ. მდგომარეობაზე.

ფ. სიხარულიძე